წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N4

27 თებერვალი 2017 წელი

ქ.წალენჯიხა

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, ლევან შელია, დავით ფიფია, კახაბერ ციმინტია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:45_სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N 10).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 21 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თემურ მეზონია,** მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თემურ მებონია**, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ბადრი კალანდია**, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსი

5. წალენჯიხიას მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **მერაბ შონია**, მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საქმეთა სამსახურის უფროსი

6.სხვადასხვა.

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: **დავით სოსელია**- მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

მოისმინეს: 2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N3) .

მოისმინეს: 3 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N11) .

მოისმინეს: 4. .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო , საქმისწარმოებისა და კადრების განყოფილების უფროსმა ბადი კალანდიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N12) .

მოისმინეს: 5. წალენჯიხიას მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საქმეთა სამსახურის უფროსმა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად მიიჩნია , არაუგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა გამგეობის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია სოციალური დახმარებების გაცემის, დანიშვნისა და შეწყვეტის შესახებ, რაც საკრებულოს წევრების მიერ მოწონებულიქნა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი - 1, კახაბერ ციმინტია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N4) .

მოისმინეს: 6. სხვადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსმა დავით სოსელიამ .

აღნიშნული ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**